Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

2021 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილება „შრომის კოდექსში“

საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს შრომის კოდექსში 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება ცლილება, რომლის თანახმადაც ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადებაზე დაწესებული შეზღუდვები არ გავრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მეწარმეზე, თუ მისი სახელმწიფო რეგისტრაციიდან 48 თვე არ გასულა (დამწყები საწარმო) და იგი დააკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დამატებით პირობებს (ასეთი პირობების დადგენის შემთხვევაში). ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 თვეზე ნაკლები.

“დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

2021 წლის 16 სეტემბერს საქართველოს მთავრობის ინიციატივით საქართველოს პარლამენტს წარედგინა „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ცვლილებების განხორციელებას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ და სხვა კანონებში.

კანონპროექტი არეგულირებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ასევე ადგენს მათგან გამომდინარე უფლებების განხორციელების (მათ შორის, ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციისას) საკითხებს.

პროექტის მიხედვით დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიღება და გადაცემა იწარმოებს ანგარიშის მფლობელის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტებით ან დადებეტებით.

ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის ოპერირებას, სადაც ხორციელდება დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების გამოშვება/ემისიის რეგისტრაცია ან/და ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნა და წარმოება, განახორციელებს ცენტრალური დეპოზიტარი, რომელიც განსაზღვრულია როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციისა და ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ძირითადი მფლობელების რეესტრის წარმოებას და სისტემის მონაწილეების მიერ მიწოდებული ტრანსფერორდერების შესაბამისად ანგარიშსწორების განხორციელებას, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იქნება ადმინისტრირებული.

კანონპროექტის მოქმედება გავრცელდება იმ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე, რომელთა ფლობა ხორციელდება საქართველოში, კერძოდ:

ა) „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააქციო საზოგადოებათა მიერ გამოშვებულ აქციებსა და ექვივალენტურ ფასიან ქაღალდებზე;

გ) სააქციო საზოგადოებათა ან სხვა ემიტენტთა მიერ საჯარო ან კერძო სამართლის საფუძველზე გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებზე, მათ შორის უცხო ქვეყნის ემიტენტების მიერ საჯარო ან კერძო სამართლის საფუძველზე საქართველოში გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებზე;

დ) „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოშვებულ საინვესტიციო ფონდის ერთეულებზე;

ე) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ საქართველოში გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებზე;

ვ) აქციებსა და ექვივალენტურ ფასიან ქაღალდებზე, სასესხო ფასიან ქაღალდებზე, საინვესტიციო ფონდის ერთეულებზე, რომლებიც საქართველოს ან უცხო ქვეყნის ემიტენტების მიერ საჯარო ან კერძო სამართლის საფუძველზე უცხო ქვეყანაში არის გამოშვებული;

ზ) ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ დეპოზიტარულ ხელწერილებზე;

თ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა ფასიან ქაღალდზე.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.